მწყემსი

№ 18

№ 18 1883—1906 წ. 30 სექტემბერი.

კიდევ საქართველოს ეკკლესიაზედ.*)

უკანასკნელი გამოცხადება უწმიდესი სინოდისაგან შესახებ დასავლეთის საქართველოის ეპარქიების გამოყოფისა, აგრეთვე იმერეთის, გურია სამეგრელოის და სუხუმის მღვდელთ-მთავრების სრული უფლებების აღდგენა რაღაცა 17 ოქტომბრის გამოცხადებულ კონსტიტუციას ემსგავსება. თვრამეტ იანვარს გარდაუწყვეტია სინოდს, რომ იმერეთის სამეგრელოს და სუხუმის ეპარქიები ცალკე დაიწყებენ ამ ეპარქიების მართვა გამგეობას და სამმართველოებს შეადგენენ სამი მღვდელი ეპისკოპოსისაგან არჩეულები და ამ სამმართველოებათ გადაკეთდებიან ეხლანდელი საეპარქიო კანცელარიები მოსამსახურეთა მიმატებითო. ცხრა თვე გადის აგერ და არავითარი განკარგულება არ არის გამოცხადებული ამ სამმართველოების მოსამსახურეთა შტატზე. მუქთად უნდა იმსახურონ ამ სამმართველოებში მოსამსახურეებმა თუ იქნება რამე ჯამაგირი დანიშნული და თუ იქნება რომელი წყაროდან? ამაზე არა ისმის რა. როგორც ამბობენ ჯერეთ არავითარი უქაზი არ არის მიღებული სინოდისაგან კანტორაშიო. რაიცა შეეხება დედაენაზე სემინარიელებისაგან წირვის წესის შესწავლას, ქადაგების წარმოთქმაში ქართულ ენაზე ვარჯიშობას და ქართული გალობის სწავლებას ამ დაპირებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენის აზრით. ამ საგნების შესახებ უფრო ბევრი არის აღთქმული რევიზორის მიროპოლსკისაგან და მოწონებული სინოდისაგან, მაგრამ სისრულეში არასოდეს არ მოუყვანილა; ესეები მხოლოდ იწერება ხოლმე ქაღალდზე თორემ საქმით არასოდეს არ ასრულებულა. ალბათ დღესაც ასე იქნება...

უბრალო დაპირებით მხოლოდ ბავშვები შეიძლება კაცმა მოატყუოს და არა დიდები და მთელი საზოგადოება. სარწმუნოების საქმეს ჩვენში დიდი საფრთხე მოელის. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საზოგადოება მეტისმეტად შეუგნებელია სარწმუნოების საქმეში. უცხოეთში ქრისტიანობის სარწმუნოება მტკიცედ დამყარებულია ვინემ ჩვენში. იქ ურწმუნოების მქადაგებელთ ნიადაგი არა აქვს. ჩვენში კი სულ უბრალო, უსწავლელი და უვიცი მქადაგებელი ჭკუაზე შეშლის თავის მსმენელს. ამისთან მქადაგებლების წყალობით სამღვდელოების მდგომარეობა მეტისმეტად გამწვავდა ასე, რომ ბევრია მზად დასტოვოს მღვდლობა და სხვა მუშაობას მიჰყოს ხელი თავის სარჩენად. ამ შემთხვევაში საქმეს ვერც ექსარხოსები, ვერც ეპისკოპოსების უფლებების აღდგინება და ვერც ეპარქიის ცალკე სამმართველოები სამი მღვდლისაგან არჩეული ვერ დაეხმარებიან. საჭიროა ძირითადი შეცვლა იმ წესწყობილებისა მწყემთა ⴃ სამწყსოთა შორის, რომელმანაც მიგვიყვანა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდისინ. საჭიროა მალე მოიფიქროს სამღვდელოებამ და საზოგადოებამ სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა სამწყსოსაგან ამორჩევითი დანიშვნაზე და საზოგადოდ ამორჩევითი წესების შემოღებაზე ძველებურად. ასი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ დღეს ბიუროკრატიული წესწყობილება აღარ გამოდგება. „კათოლიკე ⴃ სამოციქულო ეკკლესია“-ს აღვიარებთ მარტო სიტყვით და საქმით ჩვენ აღარა გვწამს კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია. ხიროტონის დროს საჭიროდ მიგა-

*) იხ. „მწყემსი“ № 17, № 1906 წ.

ჩნიათ სამღვდელთმთავრო კანდიტატებს უთხრან მარტო სიტყვით: „ქრისტეს მიერ, ძმაო, ღვთისგან კურთხეული (ესა და ეს) სამწყსო გირჩევს ეპისკოპოსადო და თანახმა ხართ თუ არა ემსახუროთ მასო? საქმით კი ისეთები ირჩევიან ხანდისხან, რომელნიც სამწყსოს მეტისმეტად სძულს და მათი დანიშვნა მწყემსმთავრად ღვთის რისხვად მიაჩნია. თუ გვსურს სამოციქულო ეკკლესია აღვიაროთ მტკიცედ უნდა ვადგეთ მოციქულების და მსოფლიო კრებათა კანონებს. მოტყუება კაცისა შეიძლება, მაგრამ ღვთისა—არასოდეს.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ადამიანის ნებისა ⚭ სვინიდისის თავისუფლება

ნება ადამიანისა ბუნებით თავისუფალია. თავისუფლად იბადებიან ადამიანის გონებაში აურაცხელნი ჰაზრები, რომელნიც თავისუფლადვე იხატებიაან სიტყვიერად და ნივთიერად, ცხადდებიან გარეგნად სხვა-და სხვა გვარ მოქმედებათა სახით. სამწუხაროდ ეს მოქმედებანი წარმოადგენენ კეთილისა და ბოროტის შერევასა, რადგანაც ადამიანი სცოდავს. ადამიანის ბუნების სიწმინდის დასაცველად შემოქმედისგან მიჩენილი არის ამავე ბუნებაში ზედა-მხედველად „სვინიდისი“. იგი ამოწმებს, სდებს ბეჭედს ქებისას ანუ ძაგებისას ადამიანის კეთილ ანუ ბოროტ ყოველ აზრსა, სიტყვასა და მოქმედებასა. აქედგან ცხადია, რომ ნების თავისუფლობა მაშინ სდგას თავის ღირსების ხარისხზე, როდესაც ეს ნება ემორჩილება სვინდისსა, მის შემწეობით იმყოფება კეთილობაში და ერიდება ბოროტსა.—როდესაც ნება, დღე-დღეობით, ერიდება სვინიდისის ხმასა, არ ისმენს მის ძაგებასა და შეუპოვრად ავად-ჰაზრობს, ბოროტ-მოქმედებს, მაშინ ნების თავისუფლება მიიღებს თვითნებობის თვისებასა, რომელიც წარმოადგენს ნების ბოროტად-ხმარებასა. ამისთანა ბოროტ ხმარება ნებისა სვინიდისს აძალადებს, ავიწროვებს, ართმევს მას თავისუფლებას იქამდინ, რომ სვინიდისი იხშობა, ვითომც იღალება, იძინებს, აღარ იღებს ხმასა. მაშინ ნება მოქმედებს სრულიად თავგასულად. შედეგი ამ თავგასულებისა არის სიმრავლე საზიზღართა ბიწიერებათა, რომელთაც მონად შეიქნება მთლად ადამიანის ბუნება, ხოლო ეს მონება შეადგენს მის საუკუნო უბედურებასა, მის სიკვდილსა, მაშინ, როდესაც შედეგი ნებისა და სვინდისის მოქმედებისა უნდა იყვეს სიცოცხლე და არა სიკვდილი. ამიტომ თავისუფლობა ნებისა და სვინდისისა მდგომარეობს, ცხადია, იმაში, რომ ნება იყვეს სასტიკი მსმენელი სვინიდისის ხმისა და აღმასრულებელი მისი კეთილი რჩევისა, ხოლო სვინიდისი უნდა იღებდეს ქების ანუ ძაგების ხმას უფლებით. ამ გზით ადამიანის ცხოვრება უნდა სუნნელებდეს კეთილითა.

ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ ადამიანი არის ორ-ბუნებითი, ხორციელ-სულიერი არსება, რომ მისნი მოთხოვნილებანიც არიან ორგვარნი: ხორციელნი და სულიერნი, ცხოვრებაც ადამიანისა არის ხორციელი და სულიერი. ხორციელი ცხოვრება უნდა იყვეს სულისთვის სასარგებლო და არა მავნებელი, ხორციელნი მოთხოვნილებანი ისე უნდა დააკმაყოფილოს ადამიანმა, რომ არა სცოდოს. საჭმელ-სასმელის მიღება ცოდვა არ არის, ხოლო სიხარბე, უზომოება არის ცოდვა. კეთილი, ტკბილი, საქმიანი საუბარი ცოდვა არ არის, ხოლო ავენობა, ლანძღვა-გინება, შფოთი და გაგულისება შეადგენენ ცოდვასა. სიკვდილი არ არის ცოდვა, ხოლო თავის მკვლელობა და კაცთა მკვლელობა წარმოადგენენ საზიზღარ ბიწიერებათა. მოგზაურობა საქმისთვის ანუ გასართობად არ არის ცოდვა, ხოლო ავაზაკობა და ცარცვა გზაზე არის ცოდვა. შეძინება ქონებისა შრომით და ოფლით არ არის ცოდვა, ხოლო შეძინება მისი მტაცებლობით, ქურდობით, მოტყუებით ან დამალვით არის ცოდვა. თვით სიმდიდრეც არ არის ცოდვა, თუ იგი არის სვინიდისით მოპოვებული, თუ მისგან ენაწილება საწყალსა და გაჭირვებულსა, ხოლო სული მდიდრისა არ მიეცემა სიძუნწესა. მოსვენება, სიხარული, შვება შეშვენიან ადამიანის ბუნებასა, ხოლო ამათთვის უნდა იყვეს ზომიერება, ადგილი და დრო. ეს მაგალითები საკმარისად უჩვენებენ ადამიანს, თუ როგორი ცნობა და შეხედულობა უნდა იქონიოს მან თვისი ხორციელი ცხოვრების შესახებ. ვინც იხელმძღვანელებს ამ ცნობითა და შეხედულობითა მისი ცხოვრება იქნება მშვიდობიანი და ღირსეული. ეს არის ქვეყნიერი სასუფეველი ღვთისა, არის წინდ—ნიშანი იმ ნეტარი უკვდავებისა, რომლისთვის ადამიანი არის გაჩენილი.

მეორეს მხრით, რა საბრალოა, მაგ., ცხოვრება ავაზაკისა, რომელშიაც სვინიდისი დახშულია და იგი თვითნებობს! იგი თვითნებობით გავარდნილია სახლობისა და საზოგადოებისგან, ტანტალებს ტყე-ღრეში, როგორც წყეული. მთლად ბუნება მისი მოცულია შიშისა და ძრწოლის ალითა. იგი არა გრძნობს თვის სიბოროტესა, არა გრძნობს, რომ მისგან დაწიხლულია ღირსება ადამიანის ბუნებისა და მის ცხოვრებისა. არა გრძნობს, ამიტომ რომ ბოროტად კერპობს. კერპობს, თუმცა დღისით და ღამითაც იგი მოკლებულია მოსვენებას: უბრალო ფეხის ხმა, შრიალი ხის ფოთოლთა აძრწუნებს და აშინებენ ამ უბედურსა. აშინებს მას ის აზრი, რომ არ ჩავარდეს ქვეყნიერ მართლ-მსაჯულობის ხელში, სადაც მას მოელის ჯეროვანი დასჯა, ხოლო უმაღლეს დასჯაზე, რომელიც ღვთის ხელშია, იგი, როგორც სვინიდის დახშული, სრულიად არა ფიქრობს. ამგვარად თვითნებობა და სვინიდისის დახშვა, რომლებისგანაც წარმოსდგებიან მრავალნი ბიწიერებანი, უმზადებენ ადამიანსა დროებით და საუკუნო ტანჯვასა, იმ ტანჯვასა, რომელიც არ უნდა იყვეს ხვედრად ადამიანისა.

სინამდვილეა, რომ ადამიანის გონება სდგას წინამსვლელობის გზაზე და გმირულად აბიჯებს აქა. ბევრად გააუმჯობესა ამ გონებამ ადამიანის ხორციელი ცხოვრების მხარენი. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ წინმსვლელობა შეშვენის როგორც გონებას, ისე ზნეობას ადამიანისას. ადამიანი არის გონიერ—ზნეობითი არსება, არის შვილი უკვდავებისა. ეს უკვდავება არის შეგნებითი, გონიერ-ზნეობითი ცხოვრება, დაფუძნებული არა ქვეყნიერ, არამედ ზეციერ, უმაღლეს ჭეშმარიტებათა ზედა. მაგ. ოქრო—ვერცხლის, ხავერდისა და აბრეშუმის შემუშავება არის ნაყოფი ადამიანის გონების წინმსვლელობისა. მაგრამ ამათ ყოველთა მოპოვება, ამათით ტანთ-შემოსვა ვერ მიანიჭებენ ადამიანსა ნეტარ უკვდავებასა. ამ უკვდავებისთვის საჭიროა სამოსელი სულიერი, შექსოვილი ღვთაებრივი ჭეშმარიტებითა და კეთილ-ზნეობითა. ამიტომ გონების წინმსვლელობა მხოლოდ ქვეყნიერი ცხოვრების სასარგებლოდ არ არის ერთხმივი. თვით გონება ამ გვარ წინმსვლელობის წარმატებითა მეტად აღტაცებულია. ხოლო სიმრავლეც ერისა ისე ეტრფიალება ამ წარმატების ელვარებასა, როგორც ჭეშმარიტ ბედნიერების საუნჯესა, როგორც პირველს და უკანასკნელ მიზანს თვის ცხოვრებისასა. გონების წინმსვლელობაში სიმრავლე ერისა ხედავს ხსნასა იმ ნაღვლისაგან, რომლითაცა მოსილია ქვეყნიერი ცხოვრება ადამიანისა, და იმედეულობს, რომ იგივე გონება ოდესმე ვაუღებს ადამიანს ქვეყნიერ სამოთხესა...

ამ ცრუ იმედში, სხვათა შორის, არის მიზეზი იმისა, რომ ერის სიმრავლე დიდად ჩამორჩენილია ჭეშმარიტ წინმსვლელობასა როგორც გონებისა, ისე ზნეობის მხრივ. თანამედროვე შთამამავლობა თანდათან უფრო მეტად ივიწყებს თვის წინაპართ სარწმუნოებასა და კეთილ-მსახურებასა. მათ უყვარდათ, მაგ., ტაძარი ღვთისა. პატივს სცემდნენ მეტადრე ძველებურ ტაძართა, რომელნიც ესოდენ უფლებით დღესაც გვითითებენ საქართველოს წარსულ სულიერ დიდებაზე. ეს ნეტარ-ხსენებულნი წინაპარნი წადილით და კეთილ-ნებობით ილტვიდნენ ტაძრად, მოჰქონდათ აქ წვლილი თვისის შრომისა, როგორც ნიშანი ღვთისადმი მადლობისა, მოჰქონდათ, იმავე დროს, ღვთის წინაშე თვისი სიხარული და მწუხარება და ნაცვლად იღებდნენ კურთხევასა, იმედსა და ნუგეშსა. ხოლო ეხლა თანამედროვე შთამომავლობასა საჭიროდ აღარ მიაჩნია არც კურთხევა, არც იმედი, არც ნუგეში, ამიტომ დაცალიერდნენ ღვთის ტაძარნიცა, ღვთის მადლის საცავნი, მოაკლდათ მათ ჯეროვანი პატივისცემა, შეიქმნენ იგინი მსხვერპლად შეურაცხებისა და ძარცვა-აკლებისა. ვიდრემდის მოითმენ, უფალო, ამგვარ უსჯულოებასა?!.. ხოლო რაში და სად ეძებს ეს საბრალო შთამამავლობა იმედსა და ნუგეშსა, თვითონაც არ იცის...

ასე სამწუხაროა აწინდელი გონებით—ზნეობითი მდგომარეობა მრავალთა სამშობლოს შვილთა საჭიროა შველა. ამიტომ გონება ადამიანისა უფრო ღირსეულ წინმსვლელობას გამოიჩენს, თუ უკან მიიხედავს, თვითონაც დაინახავს და სხვასაც უჩვენებს, ღრმად შეიგნებს და შეაგნებინებს, როგორ უგუნურად და უსვინიდისოდ დატოვებულია ადამიანისგან დიდი საუნჯე, ზეცით მონიჭებული,—დატოვებულია გზა ქრისტეს მიერ მაცხოვარებისა. წინმსვლელმა გონებამ ამაზედ უნდა უთითოს როგორც თავის თავს, ისე სამშობლოს შვილთა, ხოლო ახალ შთამამავლობას მიანიჭოს ღრმად შეგნებით ქრისტია-

ნული აღზრდა-განათლება: მხოლოდ აქ მოიპოვება მტკიცე და უტყუარი საშუალება ადამიანის გონებით-ზნეობითი ამაღლებისა და მის ორ-ქვეყნიერ ჭეშმარიტი ბედნიერებისა. ასრეთია ხმა თავისუფალი, მღვიძარე სვინიდისისა...

ი. ბაღუშევი.

ნ ა მ უ ს ი.

როცა ღმერთმან შექმნა ყოველივე ხილული და უხილავი, როცა ღმერთმა შეამკო ეს დიდებული ქვეყანა უთვალი ცხოველებითა და სხვა-და-სხვა არსებებითა ბოლოს ყოველივე ეს გასაოცარი თვისი ქმნილება დააგვირგვინა პირველი მამაკაცისა და დედა-კაცის გაჩენით, ხატებისა და მსგავსებისამებრ თვისისა. იგი ყოველთვის გვირგვინია მთელ ღვთის ქმნილებათა, მაგრამ თუ ეს ღვთის ხატება და მსგავსება კაცმა დაჰკარგა მაშინ იგი ყოველ ველურ ცხოველზე უარესია. როცა პირველთა კაცთა შესცოდეს ღმერთსა მისი მცნების დარღვევით ბევრი რამ უპირატესობა დაჰკარგა მან. მაგრამ კაცის დიდებულ სულიერ მაღალ აზროვან აგებულებაში და მის სვინიდისის თავისუფლების სულიერ ტაძარში ღმერთმა შთაბექდა ნამუსი, რომელიც ამშვენებს და ამკობს ადამიანს. ამ ძვირფასი თვისებით,—ნამუსით აშკარად განსხვავდება კაცი ყოველ პირუტყვ ცხოველთაგან. ნამუსი ადამიანის მრავალ რთულ ცხოვრებაში ყველასათვის უსაჭიროესი ღირსებაა, უმეტესად ქალთათვის. ხალხთა ისტორია აშკარად გვიმტკიცებს, რომ იქ, სადაც ცოტად თუ ბევრად განათლების შუქი სჩანდა ნამუსიც მტკიცე და პატივცემული იყო ყველასაგან.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ რაც ჩვენ ხალხში ნამუსის შებღალვა არა თუ საქმით, სიტყვის თქმითაც დიდ დანაშაულად ითვლებოდა და სასტიკად ისჯებოდა. თითქმის ყოველი სასიძო და სასძლო რა ხნისაც უნდა ყოფილიყვნენ ჯვარ დაუწერელნი ნამუს დაცულნი იყვნენ. დიდი ხანი არ არის მას დროს აქეთ რაც ჩვენში თუთხმეტი და ოცი წლის ქალ-ვაჟნი ერთად თამაშობდენ მინდორში, მაგრამ მათშორის და-ძმურ თვისების გარეშე არაფერი არა ხდებოდა-რა. აგრეთვე ცოლ-ქმართა შორის ძრიელ იშვიათი იყო ერთი ერთმანეთის ღალატობა. მაგრამ ჩვენს დროში, სამწუხაროდ, ყოველივე შეიცვალა. სადღაა ძველებური ნამუსი საზოგადოდ და განსაკუთრებით ქალთა შორის? ბევრს ამტკიცებენ, რომ გონებით განათლება და ზნეობით ამაღლება ხალხთა სიჩქარით წინ მიდისო, მაგრამ ყოველივე ეს საეჭვოა ჩვენთვის. თუ კარგად დავაკვირდებით ხალხის ცხოვრებას, თუ გინდ განათლებულ სახელმწიფოებშიაც, სრულებით სხვას ვხედავთ ნამუსის შესახებ. რამდენად გონებითი განათლება წინ მიისწრაფის იმდენად, ჩვენის აზრით, ზნეობითი განათლება უკან იწევს. სად იყო, მაგალითებრ ძველ დროში ნატარიუსები და როგორი გზით ასრულებდენ პირობებს? ნატარიუსების სიგელების და ოქმების მაგიერ საჭირო იყო ერთად ერთი ღერი ულვაშისა. არ მომხდარა არასოდეს, რომ ეს ერთი ღერი ულვაში არ გამოეყიდოს და არ დაეხსნას მოვალეს. დღეს რას ვხედავთ? სადღაა ნამუსი? ნატარიუსებისაგან შედგენილ სიგელებს რამდენიმე მოწმებით დამოწმებულს, უარს ეუბნებიან და ცრუ ფიცს მიიღებენ რამდენჯერმე, რომ შავი თეთრად დაამტკიცონ და თეთრი შავად! დიაღ, დაეცა ჩვენში ნამუსი—ეს ადამიანთა უპირველესი თვისება... აიღეთ ძველი დროის ახალ-გაზდა ქალიშვილები შემოსვილნი მორცხვობის შარავანდედით, თუ რამდენად მორიდებულნი იყვნენ თავიანთ საქმროებთან ისეთ საქციელს, რომელიც დღეს სასირცხოთ კი-არა საქებრად მიჩნეულია!

დაიკარგა სანატრელი ქალწულებრივი წმიდა ჯეროვანი მორცხვობა, რომლისაგან გამოსჭვიოდა ზნეობრივი სისპეტაკე და მაღალი პატიოსნება. სწორეთ ეს ნამუსი, ეს მორცხვობა იყო მიზეზი გვირგვინოსანთა შორის ღვთის კავშირის დაცვისა და საწოლის შეუგინებლობისა. ძველი დროის ხალხში ცოლ-ქმრობის კავშირის მტკიცედ დაცვა ხშირად ამ ნამუსის წყალობა იყო.

ვინ არის მიზეზი ქალთა ნამუსის დაცემისა ჩვენში? გაბედულად შეგვიძლია ბრალი დავსდვათ ახალ მოზარდ ქალთა ნამუსის დამცირებისა იმ ბატონთ, არა მკითხე ზნეობის მოქადაგეთა, რომელთაც არაფერი არა გაეგებათ-რა ზნეობისა. მაცხოვარმა ცხადათ და აშკარად ბრძანა თუ რის ღირსნი

არიან შემცდენელნი უმანკო არსებათა. . . . . .

დიაღ, ბევრად სჯობს ამისთანა მაცდურთა შეებან წისქვილის ქვა და შთავარდენ უფსკრულსა ზღვისასა!..

ჩვენ წინ გვიდევს ბებელის წიგნაკი, რომლის გადათარგმნისთვის დიდათ დამაშვრალა ვიღაცა ლო—თიძე. აი რას ვკითხულობთ ამ წიგნში:

„ყველაზე უფრო მავნებელია, როცა არ უკმაყოფილებ ბუნებას თვის უფლებებსა და მოთხოვნილებებს. სქესობრივი დამოკიდებულება, სრულ სიმწიფის დროს, ისეთივე საჭიროა, როგორც სასმელ-საჭმელი, დასვენება და ძილი. როცა ადამიანი ბუნებრივ გზას ასცდება სქესობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში და არა-ბუნებრივ გზით მიდის, ამით იგი თავის ჯანს არღვევს. მაგრამ ბუნებამ მარტო მამაკაცებს არ არგუნა ასეთი მოთხოვნები? რისი ბრალია ასაკში მოსულ ქალების ასეთი ავადმყოფობა, თუ არ იმისი, რომ მათ ვერ დაკმაყოფილეს დროზე სქესობრივი ლტოლვილება“?

„მამაკაცი ადვილად იკმაყოფილებს სქესობრივ მოთხოვნილებას, მეტადრე მაშინ, თუ იგი აღზრდით მორცხვი არაა. დედა-კაცისაგან-კი ითხოვს სასტიკად დაიცვას თავისი უბიწოება და ძალად ჩაქროს გაღვიძებული სქესობრივი ლტოლვილება, სანამ შემთხვევა არ გამოუგზავნის ქმარს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამარცხვინო ბოძზე აკრავს მას, ზიზღით უცქერის. თუ ქმარი არ გამოჩნდა, თუ იგი უქმროდ ბერდება და „დახავსებული ქალწული“ ხდება, რომელიც ყველაზე უბედური არსებაა ქვეყანაზე, რომელსაც ხშირად ყოვლად უღმერთოდ დასცინიან, როგორც მისი უფრო ბედნიერი ამხანაგები, ისე მამაკაცებიც,—მისგან უფრო ითხოვენ სათნოებასა და მოთმინებას; ამნაირი ქალი ძველ ავეჯათ მიაჩნიათ, საზოგადოებისთვის, ყოვლად გამოუსადეგარ ნივთად სახავენ მას“.

„სქესობრივ ლტოლვილებათა ძალით ჩაქრობა იწვევს აუარებელ მავნე შედეგს და ჰბადავს ისტერიკას, რომელიც ათასობით ჰგზავნის ხალხს შეშლილთა თავშესაფარებში. ლიუტერმა, რომელმაც თვის ხუცურის უტვინობით ბევრი უბედურება მოიტანა, სწორედ გაიგო უქორწინობისა და სქესობრივ ერთიანობის უარყოფის სრული მავნებლობა. მიზეზი ისაა, რომ ადამიანის ბუნებაში იმთავითვე ღრმად ინერგება ბავშვების წარმოშობისადმი ლტოლვილება ისე, როგორც იგი მიისწრაფვის საჭმელ-სასმელისაკენ. ამისათვის ღმერთმა ადამიანის სხეულს მისცა სხვა-და-სხვა ორგანოები, ჯურჭლები, ნერვები და ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანის სიცოცხლისათვის. ვინც ამის წინააღმდეგია, ის ვერ იქცევა გონივრულად, ვინაიდან ამგვარი ქცევა იმას მოასწავებს, რომ ბუნებას უბრძანო, აღარ იყვეს ბუნებად, ცეცხლს—აღარ ინთებოდეს, ადამიანს—არ სჭამოს არ სვას და არ დაიძინოს“.

ვერ გაიგეს კიდევ ჩვენმა ზოგიერთმა ქარაფშუტა მწერლებმა, რომ ჩვენი ვენახის ვაზი რუსეთის შიგა გუბერნიებში დარგული ნაყოფს არ მოიტანს. ვერ გაიგეს კიდევ, რომ მცენარეები თფილი ადგილებიდან ცივ ადგილებში გადარგულნი არა თუ ნაყოფს იძლევიან, არამედ კიდეც ხმებიან. ვერ გაიგეს კიდევ დღემდისინ, რომ მარქსი, ბებელი და სხვანი როცა ხალხზე რამეს სწერენ და ცხოვრების გადასხვაფერებას ურჩევენ ამ მწერლებს ყოველთვის სახეში ჰქონდათ ის ხალხი რომელნიცა თვითონ სცხოვრებენ და არა ქართველები, ავსტრალიელები ანუ ჩინელები. მწერლობის დროს მათ სახეში ჰქონდათ და აქვთ ადგილობითი მცხოვრებთა ცუდი ჩვეულებანი, რომლის მოშლასაც ურჩევენ საზოგადოებას.

დიდ უვიცობას იჩენენ ჩვენი ზოგიერთი მწერლები ამ შემთხვევაში. მათ ვერ დააჯერებთ, რომ მარქსის, ბებელის და სხვა მწერლების ნაწერები შეეხება მხოლოდ იმ ხალხთა, რომელთა შორის იგინი თვითონ სცხოვრებდენ და არა ქართველებსა, ჩინელებსა და ავსტრალიელებსა; მათთვის ეს ქადაგება გამოუდეგარია. მაგრამ ჩვენი ზოგიერთი მქადაგებელნი თუთიყუშივით უქადაგებენ ჩვენ ხალხს იმას რასაც უქადაგებენ გამოჩენილი მწერლები უცხოეთის ხალხს. რა საჭიროა ქორწინების უარ-ყოფა იქ, სადაც განქორწინება მოხდება ერთ წელში მარტო ერთი და ორი შემთხვევა და ისიც მთელს გუბერნიაში? რა საჭიროა ქორწინების უარ-ყოფა იქ, სადაც ცოლ-ქმარნი ცხრა მეათედი ისე ტკბილად და სიყვარულობით სცხოვრებენ როგორც ეს არის მთელს საქართველოში. განა ბებელი იმას დასწერდა ჩვენი ხალხისთვის რასაც სწერს პროტესტანტების შესახებ? ბებელმა იცის ჩვენებურ ცოლ-ქმართა მშვენიერი კავშირი და განწყობილება?

ბებელის ქადაგება ჩვენი ხალხისთვის ხომ სრულებით შეუსაბამოა, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა მისმა

ქადაგებამ ნიადაგი მოიპოვოს იმ ხალხშიაც, რომლისთვისაც სწერს იგი თავის წიგნაკს.

მიკვირს და ფრიად გასაკვირვალია ბებელის ასეთი მძიმე შეცთომა და ახალგაზდა ქალთა დამღუპველ ხრწნილების ნებართვის საუკეთესოდ ცნობა. ყოველი განათლებული და შეგნებული კაცისათვის, როგორც თვით ბებელიცა სწამებს, უნდა იყოს ოჯახთა ბედნიერების დაცვა და ადამიანთა ტანჯვა-სიბოროტის შემცირება. დიაღ, ერთად ერთი უმაღლესი ადგილი ცხოვრების რიგში უჭირავს ოჯახის ბედნიერებას. ამ ოჯახში იზრდება დედ-მამის სანუგეშოდ და გასახარებლად შვილები, ესენი უნდა აღზარდოს მან სასწავლებელში და შემდეგ დააქორწინოს ღვთის დადგენილ კანონით. ეს ასეა სწორედ, მაგრამ ვსთქვათ ბებელის უნამუსო თავისუფლებამ ათის წლის ყმაწვილებს გაუქროლა თავში და თერთმეტ-თორმეტ წლიდან იწყეს ბუნების დაკმაყოფილება. მერე რა შედეგი მოყვება ამახ, განა ამას ვერ მიხვდებით? ყმაწვილი ბავშვი თუთხმეტი-თექვსმეტი წლისა განირყვნა და ჩავარდა ხრწნილების გემოთა მორევში. შესაძლოა განა მან სძლიოს ამ ბუნებურ ცეცხლის დუღილს და არ აიცრუოს გული სწავლაზედ? განა შეუძლია მას მოსწყდეს ტრფიალებისაგან ახალ-გაზდა ყმაწვილთა და გულსმოდგინება სწავლისა განაძლიეროს? აქვს ადგილი და დრო დაორსულებულ ქალიშვილებს სკოლაში განაგრძოს სწავლა? თუ ორსულობა არა და მაშინ უსათუოდ ბებელის მიერ განკიცხულ საქმეს უნდა მიჰყონ ხელი. ამას გარდა სწავლის საქმეს დიდად შეაფერხებს რადგან დღე-ღამ მათი გულის სატრფიალო საქმე იქნება მხოლოდ ბუნების ქვენა ბილწი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. როგორც უნდა ამართლონ მაინც ვერ აიცდენს ამ მხრივ უგულისხმობის დაღს ბ. ბებელი, რომ დიდი შეცთომა მოუვიდა და ესრეთი მისი ქადაგება დიდ ვნების მომტანი იქნება ადამიანებისთვის.

ჯი საკვირველებავ! რა დიდი ნახტომია განათლების მაღალ-კიბიდან ქვესკნელის უძირო ბნელისკენ!.. მაგრამ არ არის სირცხვილი, რადგან ანარხია დღესასწაულობს ბნელეთის სამეფოში, როგორც უარის მყოფელი ყოველ გვარ სულიერად ზესთა კაცობის შემცვლელ პირობებისა და გაველურებისკენ მოტრფიალე, ვითარცა უცნობი ღვთისა, უცნობი ეკკლესიისა, უცნობი დედისა, მამისა, ძმისა, დისა და სჯულისა, რომლითა უნდა განიხრწნას მაღალი იდეა გონიერებისა და შეუერთდეს პირუტყვებს. გვიხსენ, ღმერთო, ასეთი მგელ-კაცების მოძღვრობისაგან, რომელნიც ძირს უთხრიან უკვდავების რწმენას.

ბებელს როგორც საღმრთო წერილის უვიცს ეკკლესიური კანონები ქორწინების შესახებ მიაჩნია სასტიკად ცოლთათვის. ის ამაოდ ფიქრობს, რომ საღმრთო წერილის და ეკკლესიის კანონებით ცოლი ქრმის წინაშე არის მონა მოსამსახურე და არა თანასწორი. საღმრთო წერილი და ეკკლესიური კანონები კი სულ სხვას გვასწავებს. „ქმართ გიყვარდენ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის“.

„ესრეთ ჯერ არის ქმართა ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა ხორცთა თვისთა, რამეთუ რომელსა უყვარდეს ცოლი თვისი თავი თვისი უყვარს. ამისათვის დაუტევოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეერთდეს ცოლსა თვისსა, და იუყნენ ორნივე იგინი ერთხორც“.

„გარნა თქვენცა კაცად კაცადმან თვისი ცოლი ეგრედ შეიყვარეთ, ვითარცა თავი თვისი“.

ბებელს უნახავს უგულო და უგრძნობელი ნემეცთა შორის ქრმები, რომელნიც მხეცურად მოპყრობიან თავიანთ ცოლებს და აქედამ გამოყავს, რომ ეკკლესიური კანონებით ცოლები მონებად ყავთ მიცემული ქრმებს!? ამისათვის ურჩევს ქალებს ერთად პროლეტარიებთან იბრძოლონ ბურჟუაზიასა და ქრმების წინააღმდეგ და ქრმების უფლებიდან თავი გაინთავისუფლონ!.. ურჩევს მათ, რომ სქესობრივი მოთხოვნილება უქრმოდაც შეუძლიათ დაიკმაყოფილონ!.. ამისთანა გარყვნილი ცხოვრებით ბებელი მათ ჯანმრთელობას უქადის!..

ვერც ბებელი და არც ერთ ფილოსოფოსის გონება ვერ მიხვდება და ვერ გამონახავს ისეთ გუმანიურ სწავლას, რომელსაც იძლევა საღმრთო წერილი ცოლქმართა კავშირზე და მათის ურთიერთშორის დამოკიდებულებისა. თუ ამას არ ისმენენ და არ ასრულებენ დამნაშავენი არიან თვით ისინი და არა ეკკლესიური კანონები.

ადამიანი, რაც გინდა მაღალი ნასწავლი იყოს მაინც თან სდევს მას ცთომა და სიბნელე. რამდენად განვითარებულია მეცნიერებაში კაცი, ეგოდენად სიბნელეცა მისი საშიშარია და დიდ ვნებას

მოუტანს საზოგადოებას, ვითარცა გამოჩენილი პირი ვითომდა ნდობისა და ყურადღების ღირსად ცნობილი. ვიმეორებთ ცოტომა და სიბნელე მარადის სდევს ადამიანს და აი სწორედ ასეთი სიბნელის წამის დროს გადადგა ფეხი საცთურების ხრამში ბრძენმა ბებელმაც და ისახელა თავი არა წმიდების მორევში და მიიწვია ახალგაზდები განსახრწნელ საუძლებოდ . . . . ძმაო, მოდი და მე გიჩვენებ 60—70—80 წლის ქალმოლოზანთა და ბერებთა, არა თუ ერთსა და ორსა, არამედ ასსაც და ჯერ კიდევ სიმოთელით სავსეთა. აგრეთვე მიგითითებ იმ სანატრელ ნამუსის შემნახველ ქალწულად მყოფთ 20—30 წლის გაუთხოვარ ქალიშვილებზე, რომელნიც ყოვლადვე მრთელ სხეულით უვნებელ არიან და შენ იტყვი თუ ახალ-გაზდობამ სქესობრივ მოთხოვნილობა არ დაიკმაყოფილა დასნეულდებიანო! დიდათ სცდებით. ოც-ოცდა-ხუთ წლამდე ქალიშვილების თავის დაცვა უმნიშვნელოა და ავათ-მყოფობისათვის. „რისი ბრალია, ამბობს ბებელი, ასაკში მოსულ ქალების ასეთი ავად-მყოფობა, თუ არ იმისი, რომ მათ ვერ დაკმაყოფილეს დროზე სქესობრივ ლტოლვილება“? მეც დაგეკითხებით: რისი ბრალია დროზე დაკმაყოფილებულ ქალების ასეთივე ავად-მყოფობა, თუ არ იმისი, რომ ეგ სხვა მიზეზის ბრალია. ასეთი ახირებული საბუთის წამოყენება სწორედ სასაცილოა და უფრო სამწუხარო. ჭეშმარიტად თქმულა: „ვაი კაცისა მის, რომელისაგან მოვიდეს საცთური“.

ადამიანში ვხედავთ სულის სამს უმთავრეს ძალას, რომელ არს: ნება, გონიერება და უფლება. პირველი მარადის მთხოვნელია გინა მსურველი რამესი. მეორე-კი განმსჯელი და განმრჩეველი კეთილისა და ბოროტისა და მესამე აღმასრულებელი. ე. ი. ხელმწიფება აქვს ქმნად რაიცა უნდეს გინა კეთილ გინა ბოროტი. ამ სამ ძალთა თითოეულის პიროვნული დანიშნულება ადამიანთა უყალბო ბედნიერების დასაცველად ბებელის სწავლაში ნათელ გზაზე არაა დაყენებული, არამედ მხოლოდ ნებას ეთმობა ადგილი და დანარჩენი ორი უპირატესნი უდარესისა მიმართ დამონებულ არიან, მიუხედავად შედეგისა თუ რა ზიანი მოაქვს ნების მიყოლით სურვილთა დაკმაყოფილებას, რომლის გამო დაჰკარგვენ კაცობრივ გონიერებითი სიმაღლეს და დაექვემდებარებიან საზიზღარ სიგლახე-სიბოროტეს მხეცურ თვისებით. თუ ასე ნების მიყოლით ბუნებურ უფლებათა დაკმაყოფილება უსათუო ჭეშმარიტება გინა მოვალეობაა, მაშ რად ვიპირვით ზნეობის გაკეთილშობილებაზედ?! მხოლოდ თვით ჩვენმა ნებამ გვასწავლოს რაიცა სურდეს და ჩვენცა უპირველად ვსვათ სასმელი უწესოებისა, სიბოროტისა და უნამუსობასა.

არც ის შემიძლია დავიჯერო, რომ ბებელის ნაჩვენები და შენდობილი გზით გათხოვებამდი ყმაწვილებთან მოტრფიალე ქალიშვილები იქმნენ ღირსი დედები და ნამდვილ ქმრებთან იქონიონ სრული სიყვარულობითი შეთვისება. ეს ყოვლად შეუძლებელია ასეთი პირებიდან, რომ უწმიდესი კავში ცოლ-ქმრობისა დაცულ იქმნეს. მაშ რა ნაყოფი მოუტანეთ თქვენ კაცობრიობას ცხოვრების აღსასუბუქებლად? რით გააბედნიერეთ ქალიშვილები და რა სუფევა—ნუგეში მიანიჭეთ ოჯახის კეთილ-დღეობას? ჩემის აზრით, მხოლოდ ის რომ გააპირუტყვეთ და სასჯელი გაუორკეცეთ.

ბებელი ამბობს, რომ ადაიანისათვის ისეთივე საჭიროა სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება როგორც საჭმელი და ძილიო. ესეთი შეხედულება სქესობრივი მოთხოვნილებაზე ერთობ ვიწროა. ამ ორ საგანთა ურთიერთ შედარებაში დიდი ნახტომია. სად უპურობა—უჭმელობა და სად უმეძაობა—ქალწულება! უპუროდ ადამიანი ვერ იცოცხლებს, ხოლო სქესობრივ მოთხოვნილების უარის-მყოფელნი უვნებელად სძლებენ მრავალ წელს მათზე ვინც ადრე იწყო სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. პურის მოთხოვნილება თანაწარუვალი კანონია ადამიანის სიცოცხლისათვის, ხოლო სქესობრივ მოთხოვნილება თუმცა ბუნებურია, მაგრამ თანაწარუვალი როდია იგი, არამედ ნებლობითია და ამ ნებლობის განმეორებით ჩვეულებად განმტკიცებული შემდეგ იღებს მიმზიდველობითს ხასიათს და დაიუფლებს ადამიანს ხან ნებსით და ხან უნებლიეთცა და ამას შინა უძღებად განხრწნილი სუნაგი სული ისე უძლურდება კაცობრივ სიმტკიცით, რომ იგი არა ღირს-არს კაცად წოდებისა, არამედ ყურ მოჭრილი მონაა ბინძურ თვისებისა. არაწმიდება სულის მძიმე სნეულებაა და მას შინა უძღებად მიდევნება შეაფერხებს კაცს ყოველგვარ საქმიანობას და მიუღებს კეთილ-ს „ღ“-ს ღურ ანუ ზესთა ღვთაებურ მისწრაფებას და

რების ნიადაგი მის შორის კარგავს ადამიანურ პატიოსნებას, სინიდისს, ნამუსს და საღმრთო ხატებას.

ბებელის მოძღვრებით გათამამებულნი ქალიშვილნი ვიდრე მომწიფებამდინაც მოისურვებენ, ადრე ასაკობიდან ბილწებაში ცურვას და რასაკვირველია, ავტორი იქნება მათი სიცოცხლის დამჩაგვრელიც და ჯანმრთელობის დამრღვევიც; მით რომ საზოგადოდ გამოცდილების სკოლამ დაამტკიცა, რომ ვინც ადრე გათხოვდა ყველა მსხვერპლი შეიქმნა მძიმე სნეულობისა. ბებელის მოძღვრება, როგორც ზნეობრივად სულიერი სენია სულისა, აგრეთვე არა ნაკლებ ფიზიკურადაც სიცოცხლის მავნებელია. ყოველი განათლებული და შეგნებული ექიმი ამტკიცებს ამას და ურჩევს ყოველთვის ზომიერობას სქესობრივ მოთხოვილებათა დაკმაყოფილებაში, როგორც ქალს ისე კაცს...

შემოუსაზღვრელი თავისუფლება მხოლოდ საღმრთო ბუნების უუმაღლეს და უმწვერვალეს უვნებლობის საზომია და არა ჩვენი. ჩვენ-კი ადამიანნი, რაც უნდა უვნებლობის საზომში ვიყოთ და რაც გინდ განათლებული შევიქმნეთ მაინც შემოუსაზღვრელად თავისუფლების მინდობა დიდი მავნებელია და საშიშარი მთხრებლი იქნება რომელიც დააქცევს ჩვენს წეს-რიგით შენებულს. ღვთის საქმე ქმნულებათა შორის, რასაც ჩვენი თვალი და გონება განიცდის, კაცი უმაღლესი გვირგვინა ღვთისათვის, რომელსაც აქვს დამოკიდებულება გონიერებით ღვთისაგან, რომელიც არის უწმიდესი არსება, უმაღლესი სიბრძნე და ჭეშმარიტება. მაშ ჩვენი კავშირიც ღვთისადმი შესაერთებელი და ჩვენი ბრძნული გონების უმთავრესი საქმე ყოფილა სიწმიდე და ჭეშმარიტება.—სიწმიდე ორ-ხარისხოვანია და ორივე ღვთის სადიდებელია. პირველი უქორწინებლობით აღრჩევა სრულიად შეუგინებლად მომთმენელთათვის. ხოლო მეორე ქორწინებულთა თანა დაცვა კავშირისა გაუცემლობით—საწოლ შეუგინებლობით. აი საზღვარი სქესობრივი სიწმიდისა და არა პირუტყვული ნებართვა ურთიერთ განრყვნილ საძაგელ შერევნით.

შემოუსაზღვრელად სქესობრივი თავისუფლება, როგორც შინაგან კაცისათვის მძიმე საპყრობილეა, [illegible]რეთ და უმეტეს გარეგან კაცისათვისაცა ცხოვრებო[illegible]ლმაოხრებელ—უწეს-რიგოდ გასაპირუტყვებელ ეკალ[illegible]ულებაა. ნუ შემოსაზღვრავ ბალნების თავისუფლებას შენს ოჯახში და ნახავ მის საქებარ შედეგს!.. ესრედ, ჩვენი ნდომა—სურვილი ბუნების თვალთმაქცობის წინაშე ბავშვია ცელქი, გატაცებული ხორციელ ანდამატით, და თუ არ შემოისაზღვრა სვინიდისის სამსაჯულო გარეგან კანონითაც. მაშინ დაგვიდგება ისევ ის უძველესი განრყვნილი და საზიზღარი ხანა.

ასულნო ღვთისანო! რაძეს ჩემი თქვენთანა? ხორციელად სრულიად არაფერი. მხოლოდ სულიერად თქვენი ერთგულება—თქვენი ორთავ სოფლის ბედნიერება; გაუთხოვართათვის სანატრელ უბიწოდ ქორწინება, ხოლო ქორწინებულთათვის კავშირის მაღალ პატიოსნებით დაცვა. კურთხეულ იყოს მაღლის ძლიერებით თქვენი სიწმიდის ხარისხი, თქვენი საოჯახო სხივ-მფენელი ნათელი. „სული წმიდა მოვიდეს თქვენზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს“. თქვენ...

„ეკრძალოებოდეთ უკვე ვითარ განკრძალულად ხვალთ. ნუ ვითარცა უგნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი“... გამოუცთიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან“.

ალექსი ბერი.

მეცნიერ კაცთა გონების საღაროდან.

გულ წრფელობა დედაა სიმართლისა და ნიშანი პატიოსანის კაცისა.

—

გონება იტანს უბედურებას, ვაჟ-კაცი გულდაგულ წინ უდგას, მოთმინება და სარწმუნოება კი სძლევს ხოლმე.

—

ჭკვიანი კაცები არა თქმას რჩეობენ, როცა სულელნი ლაქლაქობენ.

პატიოსანი იგია, ვინც იმოდენა სიკეთესა იქმს, რამდენიც შეუძლია.

—

ყოველს შენს მოქმედებასა და საქმეში წაიმძღვარე ისეთი წესი, რომ საზოგადოდ ყველასათვის წესად დასადები იყოს.

—

ასლად გაქცევა—ეგეც ერთი ხერხია გამარჯვებისა.

წყენა და ბოროტი დაივიწყე, ხოლო სიკეთეს-კი ნუ დაივიწყებ ნურას დროს.

—

დიდ-სულოვანი უტკივარი იქნებოდა, რომ სხვის გულშემატკივარი არ იყოს და არ იტანჯებოდეს.

—

ერთი ფარულად ჩამოვარდნილი ცრემლი უფრო გულშემატკივარია, ვიდრე აშკარად მთელი ნაკადული ცრემლთა. მდუმარება და მწუხარება უფრო გატკენს გულს.

—

თუ ადამიანსა ჰსურს, რომ მისი ცხოვრება ისეთი იყოს, როგორც კაცს ეკადრება, არც ბევრის იმედი უნდა ჰქონდეს და არც არაფერზე სასოება წარიკვეთოს.

—

ძალა მარტო სათნოებას უნდა ეკუთნოდეს.

—

ნდობა, თუ ერთხელ დაიკარგა, აღარ მობრუნდება ხოლმე.

—

ორი ჯურისკაცია, რომელსაც საქმის კეთება არ შეუძლია: ერთი გულ-სწრაფი და მეორე მშიშარა. პირველი ხელს ჰკიდებს საქმესა წინასწარ-მოუფიქრებლად, მეორე ფიქრობს მაშინ, როცა საქმეს ძედგომა უნდა.

—

მარტო იგი სთვლის ყველას ბოროტად, ვინც თვითონ ბოროტია.

—

ქალმა რო იცოდეს რა ძლიერი ფარ-ხმალია მისთვის სიმშვიდე და სიწყნარე, სხვა ფარ-ხმალს თავის დღეში აღარ იხმარდა.

—

ჭკუა ფუჭდება მარტოობაში, სათნოება-წუთისოფელში და გული—ცუდს საზოგადოებაში.

—

წარსული და მომავალი აშუქებს მხოლოდ დიდ-ბუნებიან კაცთა, სწორედ ისე, როგორც ამომავალი და ჩამავალი მზე სხივსა ჰფენს მხოლოდ მთის წვერთა.

—

ჭეშმარიტი დიდებულება ადამიანისა სხვის დამდაბლებას არ საჭიროებს.

—

უბედურება მხდალსა ჰგავს: იგი იმას გამოეკიდება, ვინც უფრთხის და ვინც კი გულ-და-გულ დაუხვდება, მას გაექცევა ხოლმე.

—

მართლა ლონიერი კაცი იგია, ვინც უბედურების ატანა იცის.

სიბერის დროს იმას მოიმკიან ხოლმე, რასაც პირველ ხანებში სთესენ.

—

მფლანგავი კაცი მონაა, გამფრთხილებელი-კი—ბატონი.

—

არა წმიდა სვინდისი ლხინშიაც ჯოჯოხეთსა ჰპოულობს.

—

ჭეშმარიტი სულ-გრძელობა მაშინ არის, როცა კაცი თვითონ იკლებს, რომ სხვას შეეწიოს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ქუთაისში უკვე მოქმედებს სამხედრო—საველე სასამართლო, რომელმაც წარსულ შაბათს განიხილა ს. ფარცხანაყანევის მცოვრებლების ძმათა ფხაკაძეების საქმე. ამათ ებრაელის გაძარცვა ბრალდებოდათ. სამსჯავროომ ფხაკაძეებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩამოხრჩობით და რადგან ქუთაისში ჯალათი არ აღმოჩნდა, ჩამოხრჩობა დახვრეტით შეუცვალეს. გადაწყვეტილება ორშაბათს დილას იქმნა სისრულეში მოყვანილი. ფხაკაძეების გარდა ექვსი კაცია მიცემული სამართალში.

სამხედრო—საველე სასამართლოს ზუგდიდშიაც დაუწყია მოქმედება და რამდენიმე კაცი კიდევაც გაუსამართლებიათ და სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ. ბათუმში ერთი შემთხვევა სიკვდილით დასჯისა იყო და უკანასკნელ დღეებში სასამართლოს გაუსამართლებია მკურნალი, რომელსაც კაცის გაძარცვა და საათის წართმევა თურმე ბრალდებოდა ქუჩაში. მკურნალისთვის სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია.

*** როგორც გაზ. „რუსკოე სლოვო"-ს გაუგია, მმართველ წრეებში გადაუწყვეტიათ და-

ნიშვნა ახლო მომავალში კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი „ინოროდცების“ დამშვიდებისა და განაპირა ქვეყნების მოწყობის შესახებ. როგორც გაზეთს გაუგია, ამ კომისიის თავმჯდომარედ ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორს გერარდს ასახელებენ.

⁂ ხმა დადის, რომ, რადგანაც პეტერბურგსა და მოსკოვში სიმშვიდე დამყარდა და მომავალშიაც არავითარი არეულობა მოსალოდნელი აღარ არის, მინისტრთა საბჭომ ამ ქალაქებში განსაკუთრებულ წესების ახსნა გადაუწყვეტია.

⁂ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, უმაღლეს მთავრობას მოწერილობა გამოუგზავნია ადგილობრივ მთავრობისთვის, სადაც იყოს და არ იყოს მოსძებნეთ და დააპატიმრეთო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ისიდორე რამიშვილი. რამიშვილისთვის ციმბირში გადასახლება გადაუწყვეტიათ.

⁂ „რუსკოე სლოვო“-ს სიტყვით, დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ არჩევნები ახალ სათათბიროში 1907 წ. პირველ იანვრისთვის არის დანიშნულიო. ამასთანავე იმასაც ამბობენ, რომ განაპირა ქვეყნებისთვის განსაკუთრებული ვადა არ დაინიშნებაო.

⁂ სრულიად რუსეთის აკადემიურ კავშირის დროებით ბიურომ გამოსცა წესდების პროექტი ამ პროექტით კავშირის ერთად-ერთი მიზანი არის წმინდა მეცნიერების სამსახური. წევრებად ყოფნა შეუძლია ყოფილ სტუდენტს განურჩევლად მიმართულებისა. პოლიტიკური ბრძოლა უმაღლეს სასწავლებელში შეუძლებლად არის ცნობილი; სტუდენტობას, როგორც კორპორაციას, არ შეუძლია პოლიტიკური რეზოლიუციები დაადგინოს; შეუძლებელია აგრეთვე პოლიტიკური გაფიცვები, ბოიკოტი და პოლიტიკური კრებები უმაღლეს სასწავლებლებში. კრონშტადტის ნავთსადგურის საგანგებო სამართალში მიცემული არიან კონტრ-ადმირალი ნებოგატოვი, პირველ რანგის კაპიტანები სმირნოვი, გრიგორიევი და ლიშინი, მეორე რანგის კაპიტანი შვედე და ნაწილი მატროსებისა.

⁂ 25 სექტემბერს აღმოაჩინეს, რომ ქურდებს გაუტეხიათ მეტეხის ციხის ეკკლესია და გაუტანიათ ძვირფასი ნივთეულობა და ფული. რამდენი წაიღეს ქურდებმა და როგორ მოხდა ციხეში ეკკლესიის გატეხა, არ იციან.

⁂ ქუთაისის სასწავლებლებში სწავლა განახლდა. დიდი უმრავლესობა, უადგილობისა გამო, სასწავლებლის გარეშე დარჩა. იმედი იმისა, რომ სწავლა წრეულს წესიერად წავა, ჯერ-ჯერობით არა მართლდება. ჯერ ორი კვირა არ გასულა სწავლის დაწყების შემდეგ და ზოგ სასწავლებელში უკვე მოხდა შეტაკება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის. სხვათა შორის, კლასიკურ გიმნაზიის მოსწავლეებმა მოითხოვეს ლათინურ გაკვეთილების შემცირება, რაც ოლქის მზრუნველს არ შეუწყნარებია. რამდენიმე ინცინდენტი მოხდა რეალურ სასწავლებელშიაც.

⁂ თანახმად სამხედრო-საველე სასამართლოს გარდაწყვეტილებისა სიკვდილით დასაჯეს იობიძე, ბრიძელაძე და ტურაბელაძე, რომელთაც ვაჭრების გაძარცვა დაბრალდათ.

⁂ ამ უკანასკნელ დღეებში პეტერბურგში გაჩენილა ერთი საკვირველი ავტომობილი, რომელიც სხვა და სხვა დროს მოევლინება ხოლმე პეტერბურგს, ქუჩებში დააქროლებს და აუარებელ პროკლამაციებს ავრცელებს. ამ საკვირველ ავტომობილს ფეხზე დაუყენებია პეტერბურგის მთელი პოლიცია, რომელსაც აქამდის ვერ შეუპყრია ეს ავტომობილი.

⁂ **რამდენი მკვლელობა მოხდა 1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის მაისამდე.** „ნარ. და სვ“. შეუკრებია ცნობები იმის შესახებ, თუ 15—16 თვის განმავლობაში რამდენი მკვლელობა მოხდა რუსეთში. მოუკლავთ და მძიმეთ დაუჭრიათ 34 გენერალ-გუბერნატორი და გრადონაჩალნიკი: პოლიცმეისტრები და მათი თანაშემწენი—138, ისპრავნიკები, ბოქაულები და უბნის ზედამხედველები—204, პოლიციელები—206. ურიადნიკები და სტრაჟნიკები—184, ჟანდარმის ოფიცრები—17, ჟანდარმის სალდათები—51, საიდუმლო პოლიციის აგენტები—56, ოფიცრები—61, ჯარის-კაცები—164, სამოქალაქო დაწესებულებებში მოსამსახურენი—78, სასულიერო წოდების პირნი—31, სოფლის ადმინისტრაციიდან—20, მემამულენი—49, მექარხნეები—64, ბანკირები და მსხვილი ვაჭრები—64, სულ მოკლული და დაჭრილია 1,421. თქმა არ უნდა, ეს ნახევარიც არ არის იმისი, რამდენი მკვლელობაც ამ ორი წლის განმავლობაში მოხდა რუსეთში.

*** 25 სექტემბერს ბრესტის პოლკის გენერალ დუმბაძეს, რომელიც პოლკის ყაზარმაში მიდიოდა, ყუმბარა ესროლეს და მსუბუქად დასჭრეს. დაჭრილმა დუმბაძემ გაქცეულ ბოროტ-განმზრახველს რევოლვერი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა, მსროლელი მიიმალა.

*** შაჰიმ დიდის ამბით გახსნა პარლამენტი თეირანის დიდ სასახლეში დიპლომატიურ კორპუსის, დიდ მოხელეების, სასულიერო წოდების და ჯარის წარმომადგენლები თანადასწრებით. შაჰი რომ დარბაზში შემოვიდა, ჰმინი დაუკრეს, სეფეს სიტყვა წაიკითხა გუბერნატორმა, რადგან შაჰი ავად იყო. შაჰი აცხადებს, რომ რვა წელიწადია ოცნებობდა კონსტიტუციის შემოღებაზე; ეხლა ხალხი მომწიფებულია თვითმმართველობისთვის და შაჰი დარწმუნებულია, რომ ხალხი ბოროტად არ მოიხმარს თავისუფლებას და პარლამენტი დახმარებას გაუწევს მთავრობას სპარსეთის დაწინაურებასა და გაძლიერებაში შაჰის სიტყვას აღტაცებით მიეგებნენ. ხალხი მხიარულებს, ქალაქი გაჩირაღდნებულია.

*** ფეხში დაჭრილ გენერალ დუმბაძის ჯანმრთელობა საშიშს არას წარმოადგენს. დაჭრის წინა დღეს გენერალი გადიყვანეს მიტავაში ბრიგადის გენერლად. დაიჭირეს რამდენიმე კაცი. ამათ აბრალებენ—ხელს უწყობდნენ ყუმბარის მსროლელთო. მეეტლე და მხლებელი გენერლისა ჭრილობისაგან გარდაიცვალნენ.

*** **მოსკოვის** გრადონაჩალნიკმა მოახსენა გენერალ გუბერნატორს, შევიტყე რომ მოსკოვში მოდის ინგლისის დეპუტაციაო. რადგან დეპუტაცია იმ განზრახვით მოდის, რომ პატივი სცეს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, შესაძლებლად ვერ ვსცნობ, რომ საჯაროდ პატივი სცენ დეპუტაციასაო.

*** 29 სექტემბერს გაასამართლეს საველე სამსჯავროთი ერთი გლეხი სხილტლაძე და მეორე ტაბატაძე. ამათ ბრალდებოდათ თავზე დაცება ღამე გასაგლეჯათ; წაერთმიათ ხუთი თუმანი და ეს საცოდავი გლეხიც დაეჭრათ ძლიერ მძიმეთ. ამ ბოროტ მოქმედებაში თვითონ გამოტყდენ. ორივეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. 30 სექტემბერს დილის ექვს საათზე კიდეც დახვრიტეს მაზრის სამმართველოს ახლოს და იქვე დამარხეს. თორმეტმა სალდათმა ესროლა ხუთ-ხუთჯერ.

*** გლეხებისაგან დადებული პირობით გუბერნატორის განკარგულებით დრამის ფული უნდა მოებოჭათ მღვდლების სარჩოდ და კიდევაც დაიწყეს გლეხებმა მიცემა მაგრამ ზოგიერთმა პირებმა შეაჩერეს და არსად არაფერი მღვდლებისათვის არა მიუციათ-რა. მღვდლებმა მოილაპარაკესზოგიერთ საბლაღოჩინოებში და თავს ანებებენ ყოველივე მღვდლთ-მოქმედების აღსრულებას მრევლში. მრევლი ამაზე თანახმა არ არის. მღვდელ-მოქმედების აღსრულებას სავალდებულოდ უდგენს მრევლი და საშრომის მიცემა კი საჭიროდ არ მიაჩნია!? სოციალ დემოკრატებმა დღეს ყოველ მუშას ისე მოუხერხეს საქმე, რომ ერთი სამს და ოთხს მეტს ქირას იღებენ. ყოველ მუშას კარგი ქირა აალებინეს. მუშა რომ დაითხოვოთ სამი თვის ქირა მაინც ტყუილა უბრალოდ უნდა მისცეთო. მღვდლის შესახებ კი მათთვის არც საშრომი და არაფერი არ არსებობს. ამ შემთხვევაში მღვდელსაც ადვილად შეუძლია თავი მაინც გაინთავისუფლოს ასე მუქთა შრომისაგინ და სხვა მუშაობით თავი ირჩინოს.

*** როგორც ისმის ეპისკოპოსები და სამღვდელოების დელეგატები თფილისში შეკრებას აპირებენ ათ ოქტომბრისათვის.

მადლობის გამოცხადება.

სიცოცხლის ტანჯვად გარდაქმნილ უბედურების გამო, რომელიც მეწია მე, 25 მკათათვეს ჩემი ძვირფასის დის-წულის, **სოფიო დიასამიძის მეუღლის გარდაცვალებით**; სულითა და გულით აღშფოთებული მსხვერპლი საშინელის ხვედრისა, დიდათ მანუგეშა ჩემის კეთილის მყოფელ ნათევავების, მეგობრებისა და ნაცნობების ჰმუნვით მოსილმა გულწრფელმა თანაგრძნობამ. ხოლო იმ უმაღლესმა პატივისცემამ ყველა წოდების წარმომადგენელთა ორთავე სქესისამ, რომელითაც დაჯილდოვებულ ჰყვეს ნაშთი ჩემი საყვარელის დის-წულისა, ჩემი დ ჩემის ოჯახის ერთად ერთი ნუგეშისა, თუ ხანგრძლივად ვერა, ცოტა ხნით მაინც შეაჩერა აღმოსავლელად გამზადებული სული ჩემი თავის ხორციელ ტაძრიდგან. უცხადებ ჩემს გულითად მადლობას ყველა იმ ქრისტიანულის გრძნობით გაბრწყინებულს პირებს რომელთაც პირადად, წერილებით თუ დეპეშებით თავიანთი მონაწილეობა და თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემს დამღუპველს უბედურებაში.

ქაიხოსრო გელოვანი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმზნეობაზე.

რა არის ყოველივეზე უდიდესი ამ ქვეყანაზე?

(დასასრული*)

საყვარულის თვისებანი.

შეგიძლიათ დამისახელოთ მე ქვეყნიერებაზე რაიმე ნამდვილათ მტკიცე? ბევრია ქვეყნიერებაზე ისეთი, რომელსაც ხალხი სდებს ფასს, მაგრამ მას მოციქული არა რაცხს ხსენების ღირსადაც. ფული, სიმდიდრე, დიდი სახელი—იმათის პატრონს არ ასახელებს; ის ასახელებს მხოლოთ მას, რასაც ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა იმ დროის საუკეთესო ხალხის თვალში, და ყველა მათ უკუაგდებს. მოციქულს პავლეს ამ საგნების წინააღმდეგ თავის თავად არა აქვსრა; ის ამბობს მხოლოთ, რომ ისინი განქარდებიან. იმათ, რაც იმან დააასახელა, ჰქონდათ მნიშვნელობა, მაგრამ არ იყო უდიდეს კეთილად. არიან ნივთნი, რომელნიც აღემატებიან თავიანთ სახელებსა. უმეტესი პატივი აქვს თვით კაცსა, და არა იმას, რაც შეუძლია მას ანუ რაც აქვს მას. მეორეს მხრით ბევრია იმისთანა, რაც არ არის ცოდვა, ხალხში კი ირიცხება ცოდვად; ესენი არიან წარმავალნი საგნები. აი ამ სისუსტეზედ არის ნაჩვენები ასე ხშირათ ახალს აღთქმაში. იოვანე არ ამბობს ქვეყნიერებაზე, რომ ის კარგი არ არისო, არამედ ამბობს რომ ის „გაივლის“. ბევრია მშვენიერი და სასწაულებრივი ქვეყნიერებაზედ: რაც მართლა იზიდავს ჩვენს ყურადღებასა და ჩვენ მოგვწონს, მაგრამ ეს ყოველი წარმავალია. ყველა ეს ქვეყნიურია, სურვილი თვალთა, სურვილი ხორცისა; ყოველი, რასაც სიცოცხლე გვიკეთებს სასიამოვნოსა და მისაჩვევსა არსებობენ მხოლოდ მოკლე დროით. ამისთვის არის თქმული: „ნუ გიყვარნ ქვეყანა, არცა იგი რაიცა არს ქვეყანასა ზედა“; ყოველი ესე არ არის ღირსი უკვდავის სულის მინდობილობისა. უკვდავი სული თავის ჭეშმარიტად დასაჯერებლად საჭიროებს უკვდავშივე. ხოლო არის მხოლოდ სამი საგანი, რომელნიც იქმნებიან, როდესაც ყველა დანარჩენნი მოისპობიან; „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, ხოლო უფროს ამათსა სიყვარული არს“. ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ამ სამითგან ორი ოდესმე მოისპობიან, რომ სარწმუნოება გადავა მხედველობად, სასოება აღსრულებად. მოციქული კი არ ამბობს ამას. ჩვენ ძრიელ ცოტა ვიცით მომავალი ცხოვრების პირობებზე, მაგრამ უეჭველად ვიცით ერთი, რომ სიყვარული გადავა მომავალ ცხოვრებაში და რომ არც იქ მოისპობა, მისთვის რომ ღმერთი, ღმერთი საუკუნო, არის სიყვარული. ამისთვის მიეშურებოდეთ საუკუნო კეთილისაკენ, ერთად ერთი კეთილისაკენ, საუკუნო არსებისაკენ, ერთად ერთი ფულისადმი, რომელიც მიიღება მთელს ქვეყნიერებაზე, როდესაც ყველა დანარჩენნი ფულები ყოველთა ამა ქვეყნისა ერთა დაჰკარგვენ თავისს ფასსა და გამოვლიან ხმარებითგან. ბევრს რამეს სწირავთ თქვენს თავსა, შესწირეთ მაინც თქვენი თავი სიყვარულსა. უნდა იცოდეთ ფასი ყოველი საგნისა—მისი ნამდვილის ფასით! თავი მიზნათ თქვენთა მიმართულებათა უნდა იყოს შეგნება ისეთთა თვისებათა, ისეთისა სულისა, რომელსაც გვიქებს ჩვენ აქ მოც. პეტრე —იესო ქრისტეს სულსა, ანუ, რაიცაა სიყვარულისა სულსა.

სიყვარული არსებობს საუკუნოდ! მიგიქცევიათ როდისმე ყურადღება მასზედ, რომ მახარებელი იოვანე ასე ხშირად აკავშირებს სიყვარულს და სარწმუნოებას საუკუნო ცხოვრებასთან? ეს ადვილად გვრჩება ჩვენ შეუმჩნეველად. სიყრმეში მე არ მასწავლიდენ, რომ ღმერთმა ისე შეიყვარა ქვეყანა, რომ მისც ძე თვისი მხოლოდ შობილი, რათა ყოველნი მორწმუნენი მისნი არა წარწყმდენ, არამედ დაიმკვიდრონ ცხოვრება საუკუნო. მე უფრო ჩქარა მაგონებდენ იმას, რომ ღმერთმა, ჩვენ ცოდვილთ კაცთა სიყვარულისათვის, შისცა

*) იხ. „მწყემსი“ № 17, 1906 წ.

თავისი ხოლოდ შობილი ძე, და თუ მე ვერწმუნები მას, მოვიპოვებ მშვიდობასა და თავისუფლებას ჩემის სულისათვის, და იმას, რაც ირიცხება ნეტარებად, და თავის დროს აღვალ ზეცას. აი დაახლოვებით რასაც მე მასწავლიდენ; მაგრამ მხოლოთ უკანასკნელს დროს მე გავიგე თავი ჭეშმარიტება ამა თქმულებისა, რომ მორწმუნესა მისსა, ანუ სხვა სიტყვით, მისსა მოყვარულსა—რადგან სარწმუნოება, როგორც ჩვენ შევხედეთ, შეადგენს მხოლოთ გზასა სიყვარულისადმი, აქვს საუკუნო ცხოვრება. სახარება აღგვითქვამს ჩვენ ცხოვრებასა. ამით ბევრია ნათქვამი. თუ თქვენ გინდათ შეიძინოთ ხალხი ქრისტესთვის, უჩვენეთ მათ სრული ნეტარება და არა მისი ნახევარი; უთხარით მათ არა მხოლოდ მასზედ, რომ ისინი იპოვნიან მშვიდობასა და მყუდროებასა, რომ ისინი აღვლენ ზეცას, არამედ უმჯობესია უთხრათ მათ, რომ ქრისტე მოვიდა ქვეყანაზე მისთვის, რათა მოეტანოს მათთვის უფრო სრული სიცოცხლე, მინემ ის, რომლითაც სცხოვრებენ ამ საათში, სიცოცხლე უფრო სავსე სიყვარულითა; (ამისათვის) მხოლოთ მაშინ შეუძლია სახარებას შეპყრობა ჩვენი მთლად შესვლა სხეულში და სულში და მიცემა თვითეულის ნაწილისათვის კერძო მიზნისა და კერძო საჩუქარისა. ბევრნი ჩვენ მიერ გაგონილნი ქადაგებანი ცხონებაზე მიიქცევიან მხოლოთ ჩვენის არსების ერთს ნაწილისადმი: იგინი ქადაგობენ მშვიდობასა ნაცვლად სიცოცხლისა, სარწმუნოებას ნაცვლად სიყვარულისა, განმართლებასა ნაცვლად განახლებისა; და ასეთი სარწმუნოებით ხალხი უკუ იქცევა მხოლოდ მისთვის, რომ მას არ შეუძლია გაავსოს მათი გული. იგი არაა საკმაო მაღალი, საკმაო ღრმა; ჩვენი გული თხოვილობს უმეტესსა. მას სწყურის და ეძიებს უკეთესსა. სრულსა სიცოცხლითა და არა იმას, რომელიც ჩვენ ვიცოდით აქამომდე. აქედგან ცხადია, რომ მხოლოთ უფრო სავსეს, საუკუნო სიყვარულს შეუძლია გამოდენა ჩვენი გულითგან სიყვარულისა ქვეყნისადმი.

სრულად შეყვარება ნიშნავს სრულად სიცოცხლესა, და საუკუნოდ შეყვარება—კიდევ ისე საუკუნოდ სიცოცხლესა. ამისთვის საუკუნო სიცოცხლე განუყოფლად შეერთებულია სიყვარულისათანა. ჩვენ გვსურს საუკუნოდ სიცოცხლე იმავე მიზეზით, რომლითაც გვსურს სიცოცხლე ხვალის დღესა. ხოლო რისთვისაა ჩვენთვის ძვირფასი ხვალის დღე? არა მისთვის რომ ხვალ კიდევ გვინდა ხედვა მისი, ვისაც ჩვენ უყვარვართ, ვინც თვითონ ჩვენ გვიყვარს და ვისთანაც გვსურს ერთად ყოფნა. აი ერთად ერთი მიზეზი, რისთვის გვიყვარს ჩვენ სიცოცხლე, მისთვის, რომ ჩვენ გვიყვარს სხვა და შეყვარებული ვართ მათგან. ადამიანი იკლავს თავს მაშინ, როდესაც არღარავინ რჩება მას, რომელსაც შეუძლია მისი სიყვარული. სანამდი მას ჰყავს მეგობრები, რომელთაც იგი უყვარსთ და რომელნიც მას უყვარან, მანამდი მისთვის სიცოცხლე სასიხარულოა, მისთვის რომ სიყვარულია სიცოცხლე. და თუ ადამიანსა ჰყავს ერთი მაინც მინდობილი მასზე არსება, იგი კიდევ სიცოცხლესა; როდესაც იმას არ ჰყავს აღარც ეს უკანასკნელი, როდესაც გაწყდება უკანასკნელი ძაფი სიყვარულისა, სიცოცხლე ჰკარგავს მისთვის ყოველსავე ფასსა და იგი იკლავს თავსა.

ქვევით, საუკუნო სიცოცხლე შესდგება ღვთის გაცნობაში, ხოლო ღმერთი არის სიყვარული. ესაა საკუთარი სიტყვა ქრისტესი—იფიქრეთ ამაზე—რამეთუ იგი ამბობს: ესე არს ცროვრება საუკუნო, რათა გიცნან შენ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე იესო ქრისტე.

ცოდნა ღვთისა ნიშნავს საუკუნო სიცოცხლესა! და რადგან სიყვარული იგივეა, რაც ღმერთი, ამისათვის ისიც საუკუნო უნდა იქმნეს. ასე მივდივართ ისევ იმ დასკვნამდე, რომ სიყვარული არის სიცოცხლე. „სიყვარული არა სადა დავარდების“. არ დავარდების არც სიცოცგლე, სანამ მასშია სიყვარული. ასეთია სიბძნე სიცოცხლისა, რომელიც მოც. პავლეს უნდა გვასწავლოს ჩვენ; ასეთია მიზეზი, თუ რისთვისაა სიყვარული უდიდესი კეთილი. იგია ასეთი, მისთვის რომ „არ ისპობის არასოდეს“, მისთვის რომ თავისი ბუნებით ერთია საუკუნო სიცოცხლესთან და ამ საუკუნო სიცოცხლით უნდა ვიცხოვროთ კიდევაც ჩვენ ახლა, ხოლო არა მარტო ვიმედოვნებდეთ მიღებასა მისსა შემდეგ სიკვდილისა; ძნელად თუ ნავხავთ ჩვენ მას შემდეგ სიკვდილისა, თუ არა გვქონდა იგი სააქაო სიცოცხლეში. სამწუხაროა კიდევაც ამა ქვეყანაში ბედი ადამიანისა, რომელიც დასაქმებულია მარტო თავისი თავითა, და

მათი სიყვარულითა თავისადმი. რაღაც სხვაში უნდა მდგომარეობდეს წყევლა, თუ არა მასში, რომ დაჰკარგო გამოხსნა სიყვარულის უმექონელობითა თავის მხრით და სხვებისა მხრით, და რაღა სხვას უნდა ნიშნავდეს ყოფნა გამოხსნილად, თუ არა ყოფნასა სიყვარულში? ვინც იყოფება სიყვარულში, იგი იმყოფება ღმერთთან, და ღმერთი მასში, მისთვის რომ ღმერთი არის სიყვარული.

კიდევ ერთი უკანასკნელი სიტყვა. ვის უნდა მოსვლა ჩემთან და განმავალობასა შინა მომავალთა სამთა თვეთა წაკითხვა თითოჯერ კვირაში მეცამეტე თავისა პირველის კორინთელთა მიმართ ეპისტოლითგან? მე ვიცი კაცი, რომელმაც ქმნა ასე, და მან მისცა სიცოცხლეს სრულიად ახალი შინაარსი. ვის უნდა მიყოლა ამა მაგალითისა? საქმეა უდიდესზე და უკეთესზე ქვეყნიერებაზედ! თქვენ შეგიძლიათ დაწყება იქითგან, რომ პირველად წაიკითხავდეთ ყოველს დღეს, უმეტესად იმ მუხლებს, სადაც არის ლაპარაკი სიყვარულის შინაარსზედ. „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ“.

ყოველივე ესე ღირსია იქმნეს მიღებული თქვენს სიცოცხლეში. მაშინ ყოველი თქვენი საქმობა იქმნება საუკუნოდ. და როგორ არ უნდა შევსწიროთ ასეთსა მიზანსა რამოდენიმე ნაწილი ჩვენის დროისა. არავის სიცოცხლის ძილში გამტარებელსა, არ შეუძლია შეიქმნეს ჭეშმარიტ ქრისტიანედ. ხეირიანად აღზრდისათვის ქრისტესა სულში საჭირონი არიან ნაცნობნი საშვლებანი:—ლოცვა, აზროვნება. დროება. ყოველი ხეირი საქმეში, როგორც ხორციელად ისე სულიერად, ითხოვს მოწადინებას და გულს მოდგინებასა. იყოს თქვენს მიზნად უკეთესი ქვეყნიერებაზედ; რაც უნდა ღირდეს ეს თქვენთვის, ეცადეთ შეიძინოთ ეს უდიდესი კეთილი. მიიხედეთ თქვენი წასრული სიცოცხლისაკენ და თქვენ ნახავთ, რომ წამება, რომელშიაც თქვენ ჭეშმარიტად სცხოვრებდით, იყვნენ სახელდობ ისინი, როდესაც თქვენ შრომობდით სიყვარულისა სულითა. როდესაც აზრით ხედავთ თავის წასრულსა, მაშინ ყოველი მსწრაფლ გამფრენი სიხარულის ბრწყინვალე წერტილებითა გაგონდებათ ის საათნი, როდესაც თქვენ ყველას შეუმჩნევლად აძლევდით სიყვარულსა სხვებსა; შეიძლება ესენი იყვნენ მცირენი ნივთნი, თითქმის არა ღირსნი მოგონებისა, მაგრამ ისინი შეიქმნენ ნაწილად თქვენის საუკუნო ცხოვრებისა. მე ვნახე თითქმის ყოველი უდიდესი და უმშვენიერესი, რაიცაა შექმნილი ღვთისაგან, მე გამოვსცადე თითქმის ყოველი სიხარული, მომზადებული მისგან აქ ადამიანისათვის. მაგრამ როდესაც მე მივიხედავ უკან, ყველა ჩემ მიერ გავლილ წლებში ჩემთვის დარჩენილან რაღაც ოთხი—ხუთი შემთხვევა, რომელშიაც ღვთის სიყვარული გამოჩნდა მასში, რომ მე, სუსტსა კაცსა, შემეძლო რამესი და სადმე გაკეთება მისი სიყვარულისათვის, და მხოლოთ ეს ერთი და ასრულებს ქვეყნიურს სიცოცხლესა. ყოველი დანარჩენნი სიცოცხლეში წარმავალია, აქვს მხოლოთ მაჩვენებელი ფასი. მხოლოთ ის ერთი, რასაც ქმნის სიყვარული, საქმე, რომელზედაც არვინ იცის, რომელიც იცის მხოლოთ ღმერთმა—მხოლოთ ის არსებობს.

მახარებელი მათე გვიხატავს საშიი განსჯის სახესა, სადაც მჯდომარე დიდებისა ტახტზედ არჩევს ერთსა ხალხსა მეორესგან, როგორც მწყემსი არჩევს ცხვრებს თხებითგან. უკანასკნელი განჩინება ჩვენზედ, როგორც ქრისტიანებზე იქმნება შეთანასწორებული არა ჩვენსა გარეგანსა სარწმუნოებისათანა, არამედ ჩვენ მიერ გამოჩენილსა სიყვარულისა ღირსებისათანა—მასთან, რამდენადმე შევასრულე ის მრავალნაირი წვრილმანი მოთხოვნილებანი სიყვარულისა მოყვრისადმი, რომელნიც მეცხადებოდენ მე ყოველს წამს მიმდინარეობასა შინა ჩემისა სიცოცხლისა. ხომ ასეც უნდა ყოფილიყოს, მისთვის რომ ცხოვრება უსიყვარულოდ ნიშნავს ქრისტეს სულის არა რწმუნებასა; ასეთი სიცოცხლით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იგი დარჩა ჩვენგან უცხოდ, რომ იგი ტყუილად ცხოვრებდა ჩვენთვის; ეს ნიშნავს, რომ ყოველივე ჩვენს ფიქრებში არ იყო არც ერთი აზრი, მის მიერ გაღვიძებული, ყოველივე ჩვენს სიცოცხლეში—არც ერთი მოქმედება, გამსჭვალული მისი სიყვარულითა, რომ ჩვენ არასოდეს არ მივახლოვებულვართ იმას იმდენად, რომ შეგვძლებოდეს მისი სასწაულებრივი მაცხოვრული შებრალების ძალითა ქვეყნისადმი აღჭურვა.

წინაშე ძისა კაცთასა იქმნებიან შეკრებულნი ყოველნი ხალხნი ქვეყნისანი, და თანადასწრებითა ყველა კაცობრიობისა ვიქნებით განსჯილი. ერთი

შეხედვა ამა მოქმედებისა განსჯის თვითეულსა თავის სვინდისში. იქ იქნებიან ისინი, რომელთაც ჩვენ უყავით კეთილი, ანუ ის ბევრნი ღარიბნი და ტანჯულნი, რომელთაც ჩვენ გაუარეთ გვერდი უყურადღებოდ. სხვანი მოწმენი ჩვენს წინაალმდეგ საჭირონი არ იქნებიან, და ერთად-ერთ დანაშაულად იქნება სიყვარულის უქონელობა. ღვთის მოწყალებით ქრისტიანობამ ჩვენს დროში იწყო უფრო ყურადღების მიქცევა კაცობრიობის უბედურობაზე. სამადლობელად ღვთისა, ხალხი იწყებს, თუმცა ძრიელ მცირე ხარისხთაგან, გაგებას, თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სამსახური ღვთისა, რა არის ღმერთი, ვინ არის ქრისტე და სადაა ქრისტე? ვინ არის ქრისტე? იგი, ვინც აძლევდა მშიერთა, აცვამდა შიშველთა, ნახულობდა ავათ-მყოფთა. და სად არის ქრისტე?!—„რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნაროს". და ვინ არიან ქრისტიანენი?—„რომელსა უყვარდეს ღვთისაგან შობილ არს"—ამბობს მახ. იოვანე.

მღ. ბლ. ელბაქიძე.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიში, ყვირილაში—«მწყემსი»-ს რედაქციაში.

1, საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ,
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20 —
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყდით . . 50 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »
6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 „

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ.
2. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . . 30 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი . . . 1 მ. უყდოთ . . . . . . 60 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . . 15 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე

და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. შარძის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქმნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 3 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . , 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკი . . . . . 2—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
9. არჩილ და ლუარსაბი . . . 5—
10. წმიდა ნინო რუსულად . . . 8—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ—ფასი . 3—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი . . . . 5—
6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარის შესწავლა იესო ქრისტესი . . . . 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — შრომაზე . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. ესთერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურთით. . 5—
4. იოსები . . . . . . 5—
5. მრავალ წამებული იობი . . 5 კ.

---

11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . . 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 25 კ.
3. თამარ მეფე . . . . 25 კ.

იმექნება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი,

---

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: კიდევ საქართველოს ეკკლესიაზე, დეკ. დ. ღამბაშიძის.—ადამიანის ნებისა და სვინიდისის თავისუფლება, ი. ბალუევის.—ნამუსი, ალექსი ბერის.—მეცნიერ კაცთა გონების სალაროდან.—ახალი ამბები და შენიშვნები,—მადლობის გამოცხადება,

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: რა არის ყოველივეზე უდიდესი ამ ქვეყანაზე? მღ. პ. ელბაქიძისა.
განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 სექტემბერი, 1906 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.